ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ 2021-2022 წლის ანგარიში

ქ. თბილისის საკრებულო , თავისუფლების 2

31.10.2022

ანგარიშის წარდგენას ესწრებოდნენ:

1. ზაზა თავაძე - (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია ,,თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე)
2. სალომე კობალაძე - (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია ,,თბილისი საქართველოსთვის“ წევრი);
3. გიორგი შარაშიძე - (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია ,,თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე)

ქალაქ თბილისის მაცხოვრებლები:

1. ლაურა ქვარცხავა,
2. პაატა კვარაცხელია,
3. ლელა აშორტია,
4. მაია ტოფურია,
5. მარინაფასანაძე,
6. ქეთევან ბაკარაძე,
7. დარეჯან კოვზირიძე,
8. ირაკლი მელაძე

საჯარო შეხვედრის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისში მცხორვებ იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემები;
2. ქალაქ თბილისში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური პრობლემები;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ თბილისი საქართველოსთვის“ მიერ 2021-2022 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში - ოქმს ერთვის
4. და სხვა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ბ-ნი გიორგი შარაშიძე ,ზაზა თავაძე და ქ-ნი სალომე კობალაძე მიესალმნენ შეხვედრის მონაწილეებს და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილების დანართი №2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, საჯარო შეხვედრაში მონაწილე პირებს წარუდგინა 2021-2022 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში.

წლიური ანგარიშის პრიორიტეტული მიმართულებები

- კორუფციისა და ნეპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა
- მერიის ანგარიშვალდებულების გაზრდა საკრებულოს წინაშე
- მერიის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა
- ბიუჯეტის პრიორიტეტების სამართლიანი განაწილება
- გაუმჯობესებული სატრანსპორტო პოლიტიკა

კორუფციისა და ნეპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ახალი მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე, 2021 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე, რომელზეც მოხდა თბილისის მთავრობის დამტკიცება, გამოვედით ინიციატივით თბილისის საკრებულოში ანტიკორუფციული კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც დაკომპლექტდება ოპოზიციის წარმომადგენლებით და რომლის მიზანიც თბილისის მმართველობაში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის, კორუფციის რისკების პრევენციის ეფექტიანი და ქმედითი ანტიკორუფციული სისტემის დანერგვა იქნება!

მიუხედავად იმისა, რომ ამ ინიციატივის განხორციელებას დღემდე ეწინააღმდეგება როგორც საკრებულოს უმრავლესობა, ისე თბილისის მერი, ჩვენი უფლებამოსილების ფარგლებში მუდმივად ვაყენებთ ამ საკითხს, ვატარებთ ბრიფინგებს, გვაქვს კომუნიკაცია მედიასთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან.

მერიის ანგარიშვალდებულების გაზრდა საკრებულოს წინაშე

ჩვენთვის, როგორც საკრებულოს წევრებისთვის – დემოკრატიული მართვის უმნიშვნელოვანესი რგოლის, ადგილობრივი თვითმმართველობის, წარმომადგენლებისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, თუ რამდენად გამართული თვითმმართველობით ხვდება

საქართველო იმ უაღრესად მნიშვნელოვან პროცესს, რასაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვება ქვია.

ამ მიმართულებით ჩავატარეთ რამდენიმე ბრიფინგი და გამოვედით კონკრეტული ინიციატივით თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ, სადაც მთავარი საკითხი უნდა ყოფილიყო ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობა და საქართველოს ევროპული მომავალი.

სამწუხაროდ, ამ ინიციატივას არც საკრებულოს უმრავლესობისგან და არც მერიის მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია, თუმცა, მიუხედავად ამისა, პერიოდულად ვაგრძელებთ კომუნიკაციას მედიასთან და შევახსენებთ მოქალაქეებს, რომ დედაქალაქის მერი ვალდებულია, საკუთარი წვლილი შეიტანოს თვითმმართველობის გაძლიერებაში და ამით უფრო მეტად შეუწყოს ხელი საქართველოს ევროპასთან დაახლოებას, თუმცა გვიწევს საზოგადოებას შევახსენოთ, რომ თბილისის მერი საკრებულოს დეპუტატების სამართლიანი მოთხოვნების იგნორირებით ასუსტებს და აკნინებს თვითმმართველობის არსს, რადგან მერიის თანამდებობის პირებს აკრძალული აქვთ ინფორმაციის გაცემა საკრებულოს ოპოზიციური დეპუტატებისთვის, რის გამოც მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოების ზედამხედველობისა და კონტროლის საშუალება არ ეძლევათ, რაც არა მხოლოდ კანონმდებლობისა და კონსტიტუციის უხეში დარღვევაა, არამედ რადიკალურად ეწინააღმდეგება თვითმმართველობის ფუნდამენტურ იდეას და შორსაა ევროპული ღირებულებებისგან.

მერიის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა

თბილისის მერიის მენეჯმენტის არაეფექტიანობა ერთ–ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და ჩვენი მანდატის ფარგლებში არაერთხელ მოვახდინეთ ამ ფაქტზე რეაგირება, მოვუწოდეთ მერიის მაღალი თანამდებობის პირებს, გაზარდონ ეფექტიანობა და მოსახლეობას მეტი ინფორმაცია მიაწოდონ ბიუჯეტის ხარჯ–სარგებლიანობის შესახებ, რომ მოსახლეობას ქონდეს ინფორმაცია, რამდენად სწორად იხარჯება ბიუჯეტის ფული! იმის გამო, რომ ბევრად დიდი თანხები იხარჯება თბილისის მერიის ბიუროკრატიაზე, მათი დიდი ნაწილი კი უფუნქციო პარტიული მუშაკებისგან შედგება, სახეზე გვაქვს დროში გაწელილი და უხარისხოდ შესრულებული პროექტები, რაც ადასტურებს მერიის მენეჯმენტის არაეფექტიანობას!

ბიუჯეტის პრიორიტეტების სამართლიანი განაწილება

ქალაქის საბიუჯეტო პრიორიტეტების გადასინჯვა და მუნიციპალიტეტის ხარჯების ოპტიმიზაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა, თუმცა ამ მხრივ ჯერჯერობით პროგრესს ვერ

ვხედავთ! ჩვენი მანდატის ფარგლებში მუდმივად ვაყენებთ საკითხს როგორც საკრებულოს წინაშე, ისე მედია საშუალებებით, რომ შეწყდეს გაზრდილი ბიუროკრატიის დაფინანსება!

ფრაქციამ „თბილისი საქართველოსთვის“ არ მიიღო მონაწილეობა 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებაში, რადგან არ ეფუძნებოდა რესურსების სამართლიანი განაწილების პრინციპს!

ასევე იმ ბიუჯეტის დამტკიცებაში, რომელიც გადაქცეულია პარტიული აქტივის დასაქმების წყაროდ და მორგებულია საარჩევნო ციკლზე და არა ჩვენი მოქალაქეების რეალურ პრობლემებზე, რასაც ადასტურებს 2022 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურაზე გათვალისწინებული ხარჯების შემცირება და ხელფასების ზრდა არა მხოლოდ კეთილსინდისიერი საჯარო მოხელეებისთვის, არამედ პარტიული ნიშნით დასაქმებული სრულიად უფუნქციო ასობით თანამშრომლისთვის, რაც პირდაპირ ადასტურებს თბილისის მმართველობის არაეფექტიანობას.

გაუმჯობესებული სატრანსპორტო პოლიტიკა

საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართავ მუშაობასა და გაზრდილ ფასებზე ჩავატარეთ რამდენიმე ბრიფინგი, მუდმივად გვქონდა კომუნიკაცია მედიასთან და გამოვედით კონკრეტული ინიციატივით, სატრანსპორტო რეფორმის დასრულებამდე შეღავათიანი ტარიფის დაწესების შესახებ. არაერთგზის გავაპროტესტეთ ტრანსპორტის მომსახურებაზე ფასების ზრდა, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მიწოდებული სერვისის ხარისხის შესაბამისობა გაზრდილ ტარიფებთან და გამორიცხულიყო თბილისელების დისკომფორტი საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას.

გამოვედით ინიციატივით, ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო პროექტების დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას თბილისელების აქტიური თანამონაწილეობა, ჩართულობა, მაქსიმალური ინფორმირება და საგზაო სამუშაოთა ისეთი დაგეგმარება, რომ გამოირიცხოს მოქალაქეების დისკომფორტი და თბილისელებს ქონდეთ უსაფრთხო და კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტი.